

REFLECTION OF INGUSH-GEORGIAN RELATIONS IN THE NOVEL OF IDRIS  
BAZORKIN “DARK AGES”

ფოლკლორული მოტივებისა და მითოლოგიური არქეტიპების რეპრეზენტაცია  
იდრის ბაზორკინის რომანში „საუკუნეთა ბურუსიდან“

**Khvtiso Mamisimedishvili**

Doctor of Philology,

Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

Tbilisi, I. Chavchavadze Ave. 1, 0179, Georgia,

+995599214134, khvtiso.mamisimedishvili@tsu.ge,

<https://orcid.org/0000-0002-1038-324X>

**Abstract.** In the 60s of the 20th century, Idris Bazorkin wrote the cult novel “Dark Ages”, which actually defined the cultural and national identity of the Ingush people. The novel had a great influence on the development of Ingush culture, which is why literary critics rightly recognized the author of the novel as a classic of Ingushian national literature.

The main action in the novel takes place in the highlands aul Egikala, dotted with towers, ancient temples and charnel. Each place had its own mythological past, stories about which were still remembered by the Ingush people at that time. The main protagonists of the novel are the Ingush people living in this exotic village Egikala in Ghilgho, known to Georgian readers from Vazha-Pshavela’s poems, Gabriel Jabushanuri’s poetry, and Alexi Ochiauri’s folklore-ethnographic notes.

In the novel, the writer paints many exciting pictures of the neighborhood of Ghilghvian and Georgian mountaineers, which are based on real stories. One such episode in the novel is the departure of Muhajirs from Vladikavkaz to Ottomanity. According to the novel, when a convoy of thousands of emigrants stopped at the village of Stepantsminda at night, the Mokhevians rang the bells in the Gergeti Trinity to announce the great calamity; Khevisbers (rulers of the Ravine) performed prayers and hymns in the temple in the name of Muhajirs; at each wagon, there was a one mokhevian, who with heartache was taking away the doomed brothers and sisters in the “Country of Allah”.

The semi-historical novel of Idris Bazorkin “From the Darkness of Ages” is an extremely important literary work for familiarizing Georgian-Ingush relations, as well as the events that developed in and around Ingushetia in the second half of the 19th century and the beginning of the 20th century. Traditional elements, mythological archetypes and folklore motifs play an important role in the artistic perfection of the novel. Their representation in the literary work creates a highly impressive and unforgettable artistic image. Some of the traditional motifs and folklore stories depicted in the novel are also familiar to the Georgian mountaineers oral creativity, who are neighbors of the Ingush, which is due to their long and continuous historical mutual neighborliness, the same conditions and style of life, and the constant mutual sharing of cultural values.

Although I. Bazorkin’s novel is mainly limited to showing the problems and spiritual and moral values of one culture, one people, but it must be said that the writer’s artistic generalization

of the hidden abilities of this people is at the same time a private manifestation of the general human culture, which is based on humanism, freedom, love of people.

**Key words:** Ingush novel, Folklore, Georgian motifs

**ხეთისო მამისიმედიშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, საქართველო,  
+995599214134, khvtiso.mamisimedishvili@tsu.ge,  
<https://orcid.org/0000-0002-1038-324X>

**აბსტრაქტი.** იდრის ბაზორკინმა XX საუკუნის 60-იან წლებში დაწერა საკულტო რომანი „საუკუნეთა ბურუსიდან“, რომელმაც ფაქტობრივად განსაზღვრა ინგუში ხალხის კულტურული და ნაციონალური იდენტობა. რომანმა დიდი გავლენა მოახდინა ინგუშური კულტურის განვითარებაზე, რის გამოც ნაწარმოების ავტორი ლიტერატურულმა კრიტიკამ სავსებით სამართლიანად ინგუშური ნაციონალური მწერლობის კლასიკოსად აღიარა.

იდრიზ ბაზორკინმა თავის ნაწარმოებში გააცოცხლა და მხატვრულად გადაამუშავა საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ინგუშური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მივიწყებული ფოლკლორული სიუჟეტები და მოტივები, ინგუში ხალხის წეს-ჩვეულებები და ადათები. იდრის ბაზორკინის რომანში „საუკუნეთა ბურუსიდან“ მდიდარია ინგუშებისა და ქართველების ურთიერთობის ეპიზოდებით. რომანში დასტურდება ინგუშური მითოსის ის სიუჟეტები, რომლებიც ურთიერთმეზობლობისა თუ ცხოვრების ერთნაირი სტილის გამო ქართველი მთიელების ფოლკლორულ რეპერტუარშიც იძებნება.

რომანში სიუჟეტური ხაზი იწყება 1865 წლის მოვლენებით, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსმალეთის იმპერიაში მუჰაჯირთა პირველი ტალღის გამგზავრებით. ამ დროს ინგუშეთში უკვე დამყარებულია რუსული მმართველობა. რომანის პირველი თავებიდან მკითხელისთვის ცნობილი ხდება, თუ როგორ აყარეს მეფის ბრძანებით ინგუშები ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში გაშენებული აულებიდან და იძულებული გახადეს, დაბრუნებოდნენ მამაპაპისეულ კომკებს ხევსურეთის მოსაზღვრე ღილღოში. რომანში ძირითადი მოქმედებები ხდება კომკებით, უძველესი საკულტო ტაძრებითა და აკლდამებით მოფენილ მაღალმთიან აულ ეგიკალაში. იქ თითოეულ ადგილს თავისი მითოლოგიური წარსული აქვს, რომლის ხსოვნაც იმ ხანად, XIX საუკუნის II ნახევარში, ინგუშებს ჯერ კიდევ ჰქონდათ.

რომანის მთავარი მოქმედი პირებიც ღილღოს ამ ეგზოტიკურ სოფელ ეგიკალაში მცხოვრები ინგუშები არიან, რომლებსაც ქართველი მკითხველი ვაჟა-ფშაველას პოემებიდან, გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსებიდან და ალექსი ოჩიაურის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჩანაწერებიდან კარგად იცნობს. რომანში ინგუში ხალხის ცხოვრება, სოციალური პრობლემები, ტრადიციული ყოფა და წეს-ჩვეულებები რომანში გადმოცემულია, ასე ვთქვათ, „მიგნიდან“, ინგუში მწერლის პოზიციებიდან.

„საუკუნეთა ბურუსიდან“ წარმოადგენს ძვირფას წყაროს ინგუში ხალხის ფოლკლორული შემოქმედების გასაცნობად. მწერალმა ასახა და მხატვრულად გადაამუშავა ის ხალხური სიმღერები, გადმოცემები და რიტუალები, რომელთა უმეტესობა დღეს უკვე ამოვარდნილია ინგუში ხალხის ყოფიდან და ფოლკლორული შემოქმედებიდან.

**საკვანძო სიტყვები:** ინგუშური რომანი, ფოლკლორი, ქართული მოტივები.

**შესავალი.** იდრის ბაზორკინი (ინგუშ. ბაისარანეყან მურთუზა იდრის) დაიბადა 1910 წლის 15 ივნისს ბაზორკინების საგვარეულო სოფელ მოჩქი-იურთში (ამჟამად სოფელი ჩერმენი, ჩრდ. ოსეთი). ბაზორკინები მიეკუთვნებიან გაზდიევეების ძლიერ ინგუშურ გვარს ინგუშეთის მაღალმთიანი აულ ეგიკალადან. მწერლის პაპა ბუნუხო ბაზორკინი იყო მეფის არმიის ერთ-ერთი პირველი ინგუში გენერალი. მწერლის მამა, მურთუზ-ალი ბაზორკინი, მეფის არმიის ოფიცერი გახდა. მას არ სურდა ახალი რეჟიმისთვის ფიცის მიცემა და სამოქალაქო ომის წლებში ემიგრაციაში წავიდა სპარსეთში, სადაც მალე, 1924 წელს გარდაიცვალა. მწერლის დედა, გრეტა, წარმოშობით ფრანგი იყო, სამთო ინჟინერ ლუი დე რათცეს ქალიშვილი, რომელიც ვლადიკავკაზში ცხოვრობდა და გერმანიის უკანასკნელ იმპერატორ ვილჰელმ II-საც ენათესავებოდა. მან შვილი რუსულ და დასავლეთევროპულ კულტურის საფუძვლებს აზიარა. გრეტა დე რათცემ ვერ გადაწყვიტა ქმართან ერთად სპარსეთში, ემიგრაციაში გამგზავრება და ისიც, სულ მალე, მეუღლეზე ადრე, 1923 წელს გარდაიცვალა. იდრის ბაზორკინი 13 წლის ასაკში დარჩა სრულიად ობლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან იმ დროისთვის საჭირო და ღირებული განათლება მიიღო.

დიდებულ, ელიტარულ წარმომავლობას სრულებითაც არ შეუშლია ხელი მწერლისთვის, რომ უბრალო ადამიანების ბედით დაინტერესებულიყო და მათ შესახებ თავის რომანში მოეთხრო. ეგიკალას ბაზორკინების საგვარეულო სოფლად მიიჩნევენ და იდრისმაც თავისი ბავშვობის ერთი პერიოდი სწორედ დილდოში, აულ ეგიკალაში გაატარა. ი. ბაზორკინმა XX საუკუნეში გამოიარა ყველა ის ტანჯვა და სიმწარე, რაც მისმა ხალხმა იმპერიული მმართველობისგან განიცადა და გადაიტანა: მშობლიური მიწიდან აყრა, დეპორტაცია, ბოლოს ტყვეობაც. ი. ბაზორკინი გარდაიცვალა 1993 წლის 31 მაისს. მისივე ანდრეძის თანახმად მწერალი დაკრძალულია მშობლიურ კოშკებიან აულ ეგიკალაში.

რომანი „საუკუნეთა ბურუსიდან“ წარმოგვიდგენს მთელ ინგუშ ხალხს თავისი ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ადათებით. მკითხველს ესმის რომანიდან ამ ხალხის წუხილი და ვარამი. ავტორი გვიჩვენებს კონსოლიდირებულ საზოგადოებას, რომელიც ქმნის თავის ისტორიას. რომანი მოგვითხრობს ინგუშეთში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე სოციალური, კულტურული და რელიგიურ ცვლილებების შესახებ.

ი. ბაზორკინის რომანი „საუკუნეთა ბურუსიდან“ მნიშვნელოვანია როგორც მხატვრული და ლიტერატურული, ასევე ისტორიული და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, რადგან ზოგიერთი კულტურული ფასეულობა, რომელიც ინგუშმა ხალხმა მრავალწლიანი დევნის, შევიწროებისა და შუა აზიაში გადასახლების პერიოდში დაკარგა, ი. ბაზორკინმა თავის რომანში ცალკეული მოტივებისა და სიუჟეტების სახით შემოგვინახა.

როგორც ი. ბაზორკინის ბიოგრაფები მიუთითებენ, რომანში „საუკუნეთა ბურუსიდან“ არაერთი ეპიზოდი ავტობიოგრაფიულია და მწერალი მკითხველს

საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილს უზიარებს. ღიღღში თითოეული მთა, ხევი, მდინარე, აკლდამა, ტაძარი, კოშკი - მწერლისთვის ნაცნობი და მშობლიური იყო, რომელსაც უშუალოდ ემეზობლებოდა ხევსურეთის მაღალმთიანი სოფლები. ავტორისეული მზერა რომანში ზოგჯერ საქართველოსკენ, კერძოდ კი, ხევსურეთის მთებისკენ არის მიმართული. ი. ბაზორკინი რომანში ინგუშებისა და ქართველების ურთიერთობის, თანადგომისა და მეგობრობის არაერთ დაუვიწყარ სურათს წარმოადგენს. სამწუხაროა, რომ იდრის ბაზორკინის რომანი „საუკუნეთა ბურუსიდან“, რომელიც ქართველი ხალხის პატივისცემითა და სიყვარულით არის გამთბარი, დღემდე ქართულ ენაზე არ თარგმნილა და მას ქართველი მკითხველი თითქმის არ იცნობს.

**მეთოდები.** ი. ბაზორკინი რომანში ინგუშის ხალხის ყოფის, მიზნების, ზნეობრივ-მორალური და კულტურული ფასეულობების გადმოსაცემად ხშირად მიმართავს ფოლკლორულ სიუჟეტებსა და მითოლოგიურ არქეტიპებს, რომელთა კვლევა ინტერდისციპლინურ მიდგომას საჭიროებს. მითოლოგიური სიუჟეტები, არქეტიპები და ფოლკლორული ელემენტები ნაშრომში სხვადასხვა რაკურსით შევისწავლე, რადგან ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნაწარმოების, როგორც მხატვრული ტექსტის, შენებასა და სტრუქტურაში.

ტრადიციული სიუჟეტები და სახეები, რომლებიც აქტიურად აქვს ჩართული მწერალს რომანში „საუკუნეთა ბურუსიდან“, ქმნიან ფოლკლორულ-ლიტერატურული დისკურსის მთელ არსენალს. ამიტომ არის, რომ მხატვრული ტექსტის ამ ფენომენის კვლევა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. რომანის ტრადიციული ელემენტები, კულტურულ-ისტორიული ასპექტის გარდა, ნაშრომში განვიხილე, ერთი მხრივ, მათი ფუნქციების მიხედვით, კერძოდ, თუ რა როლს ასრულებენ ისინი სიუჟეტის განვითარებასა და ზოგადად რომანის კომპოზიციაში; მეორე მხრივ კი, გააანალიზებულია პერსონაჟთა ხატვის პრინციპი, კერძოდ, მითოლოგიური არქეტიპების გამოყენებით თუ როგორ ძერწავს მწერალი მთავარ მოქმედ პირთა თვისებებსა და ხასიათებს. ი. ბაზორკინის რომანის პერსონაჟები ეროვნული ტრადიციული კულტურის ფესვებზე არიან ამოზრდილი და გარკვეულ სოციალურ პირობებში ყალიბდებიან.

რომანში „საუკუნეთა ბურუსიდან“ ტრადიციულ მოტივებს სიუჟეტურ-აზრობრივი მახასიათებლები თითქმის შენარჩუნებული აქვთ და მკითხველისთვის ნაცნობ სურათს ქმნიან, თუმცა მწერალი მათ საკუთარი მხატვრული ჩანაფიქრის მიხედვით გარდაქმნის. სტატიაში არა მხოლოდ განვიხილე ის ტრადიციული სიუჟეტები და მითოლოგიური არქეტიპები, რომლებსაც ავტორი რომანში იყენებს, არამედ შევისწავლე მათი გენეზისი, გამოვავლინე მათი ფოლკლორული ინვარიანტები.

რომანში ასახული და გამოყენებული ტრადიციული ელემენტები შევისწავლე კომპრატივისტულ ჭრილში, რადგან კვლევამ აჩვენა მათი ორგანული და გენეტიკური კავშირი ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებთან. საჭირო გახდა იმის გარკვევა, თუ რა სახის სიახლოვესთან გვქონდა საქმე, ეს იყო ტიპოლოგიური თუ გენეტიკურ-კონტაქტური რეცეფცია. აღმოჩნდა, რომ ქართულ და ინგუშურ ფოლკლორულ-მითოლოგიურ მოტივებს შორის მსგავსება განაპირობა, როგორც გენეტიკურმა კონტაქტებმა, ასევე „ტიპოლოგიურმა თანხვედრამ“, ქართველი მთიელებისა და ინგუშების ცხოვრების მსგავსმა პირობებმა. ამდენად, ნაშრომში, ისტორიულ-შედარებითი ანალიზის გარდა, გამოვიყენე კვლევის შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდიც. ამან საშუალება მომცა გამომევილინა ის მხატვრული და სტრუქტურული ერთეულები, რომლებმაც განაპირობეს მსგავსება რომანში ასახულ ინგუშურ ხალხურ მოტივებსა და ქართველ მთიელთა ფოლკლორულ ტექსტებს შორის.

ფოლკლორულ-მითოლოგიური ელემენტების, როგორც კოლექტიური ზეპირი ცოდნის ნიმუშების, რეპრეზენტაცია რომანში ქმნის განუმეორებელ ეგზოტიკურ სამყაროს და ნაწარმოებს ძლიერ მხატვრულ-ესთეტიკურ ეფექტს ანიჭებს.

**შედეგები.** ტრადიციული ინგუშური სოფელი ეგიკალა, სადაც რომანის მთავარი პერსონაჟები ცხოვრობენ და მოქმედებენ, მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ნაწილში, წეი-ლოამის მთასთან. ეს შუაზე გაყოფილი მთა კედელივით ესაზღვრება სოფლის ტერასებად განლაგებულ სახნავ-სათეს მიწებს. წეი-ლოამ ქართულ ენაზე ნიშნავს წმინდა მთას, მთაწმინდას, და მას არაერთი ინგუშური თქმულება და ლეგენდა უკავშირდება. როგორც მწერალი მოგვითხრობს, ძველად წეი-ლოამის მთაზე ინგუშები საკულტო რიტუალებსა და მითოლოგიურ სიმღერებს, ხოლო წეი-საგები, იგივე ხევისბრები, ზეციურ არსებათა სადიდებლებს აღავლენდნენ.

დაუნდობელმა დრომ და მძიმე ისტორიულმა წარსულმა ინგუშური ფოლკლორის არაერთი ნიმუში შთანთქა და მათ დავიწყების ბურუსი გადააფარა, მაგრამ ხალხის ზეპირმა ხსოვნამ მაინც შემოინახა ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორ გააპო მტრებზე განრისხებულმა სესქათ-სოლსამ, ინგუშური ეპოსის მთავარმა გმირმა, წეი-ლოამის მთაზე ორ ნაწილად, რომელიც ზღაპრული კომპებით, ტაძრებითა და მიცვალებულთა აკლდამებით მოფენილ ეგიკალას გადმოჰყურებს. რომანში განვითარებული არაერთი სიუჟეტი შექმნილია ტრადიციული ყოფის დეტალებით, ცალკეული ფოლკლორული ელემენტებითა და მითოლოგიური არქეტიპებით. მუჰაჯირად ოსმალეთის იმპერიაში მიმავალი თურსის ცნობიერებაში ის ჯადოსნური სამყარო, სადაც ისტორიული ბედისწერით მისი ხალხი ცხოვრობდა, სწორედ ტრადიციული ყოფის დეტალებითა და არტეფაქტებით ცოცხლებდა: „მთაზე მოჩანდა მალთეს ტაძარი. წესის თანახმად, იმ ბილიკზე გამვლელი ყოველი მგზავრი ძირს უნდა დახრილიყო, აეღო სამი თითით მიწა, სალოცავის მიმართულებით ესროლა და სამი სურვილი ჩაეთქვა. მარჯვნივ, ქვემოთ, აულ ებანის ნანგრევები მოჩანდა. ის მეფის გენერალ აფხაზოვის ჯარს დაუნგრევია მაშინ, როცა თურსი ჯერ კიდევ 15 წლის ყმაწვილი ყოფილა. თურსმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი მთებს: აი, ძველი აული ქერბეთე, მის ქვემოთ სახნავი მიწებით მდიდარი სოფლები: ერზი, ლეჟგი; იქით, ტყისკენ - ბეინი; მის ზემოთ, მაგიდისებურ მთაზე, მოჩანს მეთ-წელის ტაძარი, როგორც წერტილი... ეს ყველაფერი არის მამების სამშობლო, ინგუში ხალხის ძველი აკვანი“ (Базоркин, 1971: 41). იდრის ბაზორკინის რომანში ტრადიციული ელემენტები ორგანულად უკავშირდება ნაწარმოების სიუჟეტს და ისინი ერთ მთლიან განზოგადოებულ სურათს ქმნიან.

რომანის მხატვრული სამყაროს შენებაში უაღრესად დიდ როლს ასრულებს მისი ქრონოტოპი. „საუკუნეთა ბურუსიდან“ წარმოგვიდგენს იმ დროს, როცა ინგუში ხალხი თანდათან გამოდიოდა მითების, ლეგენდებისა და უძველესი რიტუალების ეპოქიდან და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ფეხს იკიდებდა ახალი რელიგია ისლამი. მიუხედავად ამისა, ნაწარმოების მიხედვით, ინგუშეთის მთის საზოგადოებებში, კერძოდ, ღილლოში, სადაც რომანის ყველაზე მნიშვნელოვანი მოქმედებები ხდება, თვალსაჩინოდ იკვეთება, რომ იქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძველი, არქაული რწმენა-წარმოდგენები. ავტორი ინგუშების ტრადიციულ ხალხურ რელიგიას, მართალია, წარმართობას უწოდებს, მაგრამ იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ინგუშების ყოფაში დარჩენილი საკულტო წეს-ჩვეულებები, მითები და ლეგენდები შორეული, უძველესი ქრისტიანობის ერთგვარი გამოძახილი უნდა ყოფილიყო.

ინგუშები რომ ერთ დროს ქრისტიანული რელიგიის მიმდევრები იყვნენ, ამაზე ღილლოში დღემდე შემორჩენილი ქრისტიანული ტაძრებიც მიუთითებს. ტყობაერდი, მაღი-ერდი, ალბი-ერდი და სხვა სალოცავები ინგუშეთის მაღალმთიანეთში ერთ დროს ზოგი საქართველოს მეფეებსა და ქართველ სასულიერო პირებს და ზოგიც ადგილობრივ

ოსტატებს აუცილებს. რომანში „საუკუნეთა ბურუსიდან“ მოქმედება სწორედ ამ უძველესი ტაძრებით მოფენილ მთის სოფლებში ვითარდება. როგორც იდრის ბაზორკინის რომანის მკვლევარები მიუთითებენ, მწერალი ნაწარმოებში ახდენს ინგუშების ძველი რელიგიური რწმენის იდეალიზაციას. რომანი „საუკუნეთა ბურუსიდან“ ხალხური ეპიკური ტრადიციებით საზრდოობს. მდიდარმა ინგუშურმა ფოლკლორმა ხელი შეუწყო ინგუში ხალხის საერთონაციონალური პოეტური ტრადიციის ჩამოყალიბებას. ინგუში მეცნიერის რ. უჟახოვას აზრით, ინგუშური რომანის შექმნისთვის ფოლკლორული შემოქმედება ნამდვილ სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენს (Ужахова, 2010: 132-135).

იდრის ბაზორკინის რომანში ვხვდებით ზოგიერთ ისეთ მითოლოგიურ ნარატივს, რომლის მსგავსი სიუჟეტიც ასევე ცნობილი იყო ინგუშების მეზობელი ქართველი მთიელებისთვისაც. ბუნებრივია, რომ მათში საზოგადოებრივ-რელიგიური ცხოვრებისა და ზნეობრივ-მორალური შეხედულებების მსგავსი სისტემები ჩამოყალიბდა, რადგან ქართველები და ინგუშები უძველესი დროიდან ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ და მათ შორის კულტურულ ფასეულობათა გაცვლა უწყვეტ ისტორიულ-კულტურულ პროცესს წარმოადგენდა.

რომანში „საუკუნეთა ბურუსიდან“ მწერალს ჩართული აქვს გადმოცემა ვინმე ტანტალის შესახებ, რომელიც ინგუშეთის მთიანეთში საიდანაც მოსულა. ტანტალს ეგის გვარის წინააღმდეგ მხარდაჭერისთვის რომანის ანტიგმირ გოიტემირისგან საჩუქრად მიწის ნაკვეთი მიუღია და აული ოლგეთი დაუარსებია. მას თავისი მხრებით ამოუზიდავს ხეობიდან ქვა, თავისი ხელით აუშენებია კოშკი, მოუყვანია ცოლ-შვილიც და იქ დასახლებულა. ტანტალს, როგორც უცხო მხრიდან მოსულ კაცს, მიეწერება, ერთი მხრივ, განსაკუთრებული ძალა და ჭკუა-გონება, რომლებიც შეიძლება, მისი გაამპარტავნების მიზეზი გამხდარიყო და მეორე მხრივ, უსამართლობა, მეზობლების სათიბებისა და სახნავ-სათესი მიწების დაუფლება, მათი დევნა და შევიწროება, რის გამოც ტანტალმა ღვთისა და საზოგადოების რისხვა დაიწია. ტანტალის სიკვდილი რომ გაუგიათ, მთელი სოფელი შეკრებილა და შვილისთვის მამის ცხედრის დასამარხად მიწა აღარ მიუცია. ტანტალის ვაჟს, ბიის, მამა კოშკის ეზოში სასწრაფოდ დაუმარხავს, მეორე დღით კი, ის თავის ოჯახთან ერთად უკვალოდ გაუჩინარებულა, რადგან იცოდა, რომ ხალხი მოსვენებას არ მისცემდა. ი. ბაზორკინი აშკარად ზეპირ გადმოცემას ეყრდნობა, რადგან ტანტალის ოლგეთში დასახლების შესახებ, ინგუში მეცნიერების ცნობით, არანაირი საარქივო დოკუმენტი არ მოიძებნება.

ანალოგიური გადმოცემები ისეთ ადამიანებზე, რომლებიც უსამართლობით ცდილობდნენ თემის შიგნით ეკონომიური ან სხვა სახის უპირატესობის მოპოვებას, ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზეპირსიტყვიერებაში. მათ, თქმულება-გადმოცემების მიხედვით, გარდაუვალი სასჯელი ემუქრებათ საზოგადოებისგან ან ზეციური არსებებისგან. ქართული გადმოცემების პერსონაჟები: თაგვა თაღლაურა, ყარტაულა, მმები - სულა და კურდღელა - „გაბუდაყებული“ პირები არიან. როგორც ზ. კიკნაძე მიუთითებს, საზოგადოებას სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს მათთვის და ეს ხდება ზებუნებრივი ძალების დასტურით, რადგან ისინი სრული გადაშენებით ისჯებიან (კიკნაძე, 2016: 133).

ტანტალის თქმულება სხვა დეტალებითაც ჰგავს ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებს. ტანტალი, როგორც რომანი მოგვითხრობს, იმ უსამართლობისა და ბოროტების გამო, რასაც ის მეზობლების მიმართ სჩადიოდა, სიკვდილის შემდეგ ადამიანობიდან ავსულად გადაიქცა, ხოლო მისი კოშკი დაწყევლილ ადგილად შეირაცხა. ტანტალი როგორც სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგაც ვნებდა ადამიანებს. ამბობენ, რომ ერთხელ, ღამით, ვიღაცას ტანტალის კოშკთან ახლოს გაუვლია და გაგიჟებულა (Базоркин 1971: 41). ტანტალი, როგორც ავსული, წელიწადში ერთხელ აქტიურდებოდა: ის ყოველი წლის ადრიან გაზაფხულზე, პირველი ხნულის გავლების

შემდეგ, შუალადით, როცა ყველას ეძინა, კომპის სახურავზე ადიოდა და თავის ვაჟს, ბიის, ემახდა. ის შვილს სთხოვდა, რომ სხვა მეზობლების მსგავსად მიწა მოეხნა. მაგრამ ტანტალს თავისი ვაჟის ნაცვლად ტყიდან „ეშობი“ პასუხობდა: - „ხალხმა მიწა არ მოგცა დასამარხად, ხოლო შენს ვაჟს მათ სახნავ-სათესი მთებიც წაართვეს“. ტანტალი განთიადამდე, სანამ ცაზე უკანასკნელი ვარსკვლავიც არ ჩაქრებოდა, სიბნელეში იდგა და თავისი კომპის სახურავიდან ხალხს წყევლას უთვლიდა, ხოლო შემდეგ უხმაუროდ ჩამოდიოდა და თავის ქვის საფლავში წვებოდა (Базоркин, 1971: 41).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხურ ტრადიციაში ტანტალის მსგავს პირებს, რომლებიც სიკვდილის შემდეგ ბოროტ ძალებად გადაიქცნენ, „გამიწრივლებულ“ არსებებს უწოდებდნენ (კიკნაძე, 2009: 156). სიტყვა „მიწრიელი“ გამოხატავს მათ ხთონურ, მიწიერ ბუნებას და კავშირს ჯოჯოხეთურ ძალებთან. ასეთი ადამიანები, ქართული თქმულებების მიხედვით, თავგასულობის მიზეზით ზოგი სოფელმა დახოცა, ზოგიც ღვთის რისხვამ იმსხვერპლა.

როგორც ინგუშეთის, ისე საქართველოს მთიანეთში ტრადიციულ საზოგადოებებს მსგავსი სოციალური წყობა და სტრუქტურა ჰქონდათ. თემში ყველა ადამიანი უზენაესის წინაშე თანასწორი უნდა ყოფილიყო. თუ ვინმე შეეცდებოდა ქონებრივი უპირატესობის სოციალურ და საკულტო პრესტიჟად გადაქცევას, ის დაისჯებოდა ან ზებუნებრივი ძალების ჩარევით, ან თემის წევრებისგან. ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებთან შედარების საფუძველზე ტანტალის ამბის ფოლკლორული წარმომავლობა და მისი გენეტიკური სიახლოვე ფშავ-ხევსურულ თქმულებებთან არანაირ ეჭვს არ იწვევს.

**მსჯელობა.** იდრის ბაზორკინის ნაწარმოების კრიტიკოსები საცხებით სამართლიანად მიუთითებენ, რომ ამ რომანის მთავარი პერსონაჟი არის ინგუში ხალხი (Мартазанова, 2015: 317), თუმცა მწერლის ყურადღება მიმართულია მთავარი გმირის - კალოისკენ. რომანში კალოი წარმოდგება როგორც მთელი ინგუში ხალხის სულიერი გამოცდილების მატარებელი ადამიანი.

კალოი ხალხური ეპიკური გმირების მსგავსად არის ობოლი, რომელსაც თითქოს ზეციური არსებები უწევენ დახმარებას. მისმა დედ-მამამ მაშინ დატოვა ღალღა და მუჰაჯირებად იმ დროს გაემგზავრნენ ოსმალეთში, როცა კალოი ამ ქვეყანას მოევიწყა. რომანის მთავარი გმირი თითქოს სასწაულებრივად, მითოლოგიური გმირების მსგავსად იბადება. ავტორი ისე ხატავს ვითარებას, რომ კალოი, ისევე როგორც ეს მითოსში ხდება, ზებუნებრივი ძალების ჩარევის შედეგად ჩაისახა. დოული მას შემდეგ დაფეხმძიმდა, როცა დედა ღვთისას - თუშოლის - შვილის მიცემა შესთხოვა. კალოი იბადება იმ საკრალურ ქვასთან, რომელიც ინგუშური ხალხური ეპოსის პერსონაჟმა, დევგმირმა კალოი კანთმა შორი მანძილიდან ისროლა. ინგუშური თქმულების მიხედვით, მტრის ვერაგული საქციელით აღშფოთებულმა კალოი კანთმა მდინარე თერგის ერთი ნაპირიდან სტყორცნა უზარმაზარი ქვა მდინარის მეორე ნაპირზე გასულ სესქათ სოლსას თუ ყაბარდოელ თავადს და ეს ქმედება სამუდამოდ აღბეჭდა დედამიწის რელიეფზე (Дахкильгов, 2012: 290-295). სწორედ იმ საკრალურ ქვასთან იშვა კალოი, როცა მისი მშობლები მუჰაჯირებად ოსმალეთის იმპერიაში მიდიოდნენ.

იდრის ბაზორკინის რომანი „საუკუნეთა ბურუსიდან“ მდიდარია მითოლოგიური რემინისცენციებითა და ფოლკლორული ალუზიებით. თხზულების არაერთი ეპიკური დეტალი და ეპიზოდი მკითხველს ინგუშთა ნაციონალურ ეპოსს ახსენებს: ჯერ ერთი, რომ ნაწარმოების მთავარ მოქმედ პირს ჰქვია ინგუშური ეპოსის ლეგენდარული გმირის - კალოი კანთის სახელი და, მეორეც, რომანის მთავარი გმირის - კალოის დაბადება იმ მითურ ქვასთან, შეიძლება, აღქმული იყოს როგორც ინგუშური მითოსის ერთგვარი ალუზია, რადგან კალოი ამ საკრალურ ქვასთან თითქოს ისევე დაიბადა, როგორც განაყოფიერებული ლოდისა და სასწაულებრივად იშვა ინგუშური ხალხური ეპოსის გმირი

- სესქათ სოლსა. რომანში ერთმანეთს ენაცვლება წარსული და აწმყო, რეალური და ფოლკლორიზებული ელემენტები.

მუჰაჯირთა თვალუწვდენელი კოლონებისა და გამცილებლების თვალწინ ბავშვის დალოცვისა და სახელის დარქმევის რიტუალის აღვლენა რომანის ერთ-ერთ ემოციურ ეპიზოდს წარმოადგენს. თურსი უარს ამბობს სამგზავროდ განკუთვნილ მარცვლეულსა და ცხვარზე, რომელსაც ოსმალეთში წასვლის წინ ღმერთს სწირავს, რადგან დიდმა დელამ მას ვაჟი უბოძა. იგი, იქვე, მუჰაჯირთა მრავალათასიანი კოლონების თვალწინ, თამარ მეფის აშენებული ციხისა და კავკასიონის ცამდეაწვდილი მთების ძირში, სთხოვს ჯეირახელ მოხუცს, რომ საკულტო რიტუალი აღავლინოს ყოვლისშემძლე დელას სახელზე, რომელმაც თურსს დიდი ხნის ნანატრი ვაჟი აჩუქა. იდრის ბაზორკინი ბავშვის კურთხევისა და სახელის დარქმევის რიტუალს, რომელსაც ჯეირახელი უხუცესი აღავლენს, ყველა წესის დაცვით წარმოგვიდგენს. მოხუცმა თურსს ვაჟის გამრავლება უსურვა, თან მარცვლეულს, როგორც სიმრავლის, სიუხვისა და ბარაქის სიმბოლოს, ჩოხაზე აყრიდა, რომელმაც მოხუცის არგანი მთლიანად დაფარა.

რომანის ეს ამალეღვებელი ეპიზოდი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ბავშვობაში გამაჰმადიანებული თურსისთვის ოსმალეთში მუჰაჯირად გამგზავრების წინ მამაპაპური წესები წმინდათაწმინდა რეალობად ქცეულა, რომელიც მას საკრალურ წარსულში, მითოსურ ფესვებთან და წინაპრების ადათებთან აბრუნებს. თურსის მონოლოგი სავსეა მითოსური არქეტიპებით. იგი მკითხველს აგრძნობინებს, რომ რომანში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება. ჯერ ერთი, რომ მთავარი მოქმედი გმირი - კალოი იბადება და მეორეც, ამავე ეპიზოდში მშობლები სამუდამოდ შორდებიან ახალშობილს. თურსი ბავშვს სამშობლოში, ბიძასთან ტოვებს გასაზრდელად და თვითონ კი დოჟლისთან, მეუღლესთან ერთად, სამუდამოდ მიემგზავრება ოსმალეთში.

მთავარი გმირის მხატვრული სახის გენეტიკური კავშირი ხალხურ ეპიკურ ტრადიციებთან თვალსაჩინოა. კალოის აქვს ბობოქარი ბავშვობა. ის, ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი, წინააღმდეგობას უწევს გოითემირს და არ აძლევს თავისი წინაპრებისგან დატოვებული სახნავი მიწის დამუშავების უფლებას; კალოი მარტო ზრდის და წვრთნის ღარაქის ნაჩუქარ გამორჩეულ კვიცს. მთავარი გმირის მიერ გულთმისანი რაშის წრთობის მოტივს იცნობს ხალხური ტრადიცია, რომელიც სიუჟეტურად არის რეალიზებული ქოროლლის აზერბაიჯანულ დასთანში, ინგუშურ თქმულებაში „შვიდი ძმის და“, აფხაზურ საგმირო ეპოსში და ჯადოსნურ ზღაპრებში. მითოეპიკური გმირების მსგავსად, კალოი ადრეულ ასაკში სჩადის საგმირო საქმეებს. ის, ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი, მარტოდმარტო მიდის ჯიხვებზე სანადიროდ და კლავს შემოფეთებულ უზარმაზარ დათვს. კალოი, ფაქტობრივად, ობლად იზრდება. საბოლოოდ ავტორი კალოის წარმოგვიდგენს დევგმირული, ბალათურული ნიშნებით. ის გამორჩეულია თავისი ჭკუითა და გონებით, თავისი კეთილშობილური თვისებებით და რომანში მას განსაკუთრებული მისია აკისრია.

ისევე როგორც ეს ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებში ხდება, იდრის ბაზორკინის რომანი „საუკუნეთა ბურუსიდან“ უარყოფით პერსონაჟებად ცარიზმის სამსახურში შესულ ინგუშებს წარმოგიდგენს. კალოის ანტაგონისტი რომანში არის გოითემირი - სოფლის მამასახლისი და მისი ვაჟი - ჩაბორზი. გოითემირმა თურსი მეუღლესთან ერთად მოტყუებით ოსმალეთში მუჰაჯირად გაგზავნა და ამით კი თავისთვის საშიში და ძლიერი მოწინააღმდეგე გზიდან ჩამოიშორა. გოითემირიც და ჩაბორზიც თავიანთი ძალაუფლების საყრდენად და თანასოფლელებზე უპირატესობის მოსაპოვებლად რუს მოხელეებსა და კაზაკთა სამხედრო ძალებს იყენებენ. კალოისა და ჩაბორზს შორის დაპირისპირება ადრეული ასაკიდან იწყება, როცა ჯერ კიდევ სრულიად ბავშვები მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით შეეხებიან ერთმანეთს. ამ ორ პერსონაჟს შორის ანტაგონიზმს ისიც აღრმავებს, რომ ჩაბორზმა ცოლად მშვენიერი ზორუ შეირთო, რომელიც კალოის



თავდავიწყებით უყვარდა. რომანის სიუჟეტს ხშირად ეს დაპირისპირება წარმართავს. ჩაბორზი ფლობს დიდძალ სიმდიდრეს, მატერიალურ ავლადიდებას, მაგრამ ვერ მოიპოვებს ზორუს სიყვარულს. მთელი თემის სახალხო ლიდერი მაინც არის კალოი და არა ჩაბორზი, რუსეთის ხელისუფლებისგან დანიშნული მამასახლისი. კალოის უპირატესობა ჩაბორზიზე თვალსაჩინოა. მთელი ხალხის სიყვარული და პატივისცემა კალოის მხარეზეა. როცა ერთ ზამთარს სოფელს შავი ჭირის ეპიდემია და საშინელი შიმშილი დაატყდა, კალოიმ ჩაბორზის დაუკითხავად მისი კუთვნილი საქონელი გამოირეკა და თანასოფლელებს იმ მოტივით დაურიგა, რომ ისინი მომავალში ჩაბორზის კუთვნილ პირუტყვს, როგორც სესხს, მის პატრონს დაუბრუნებდნენ. ამით კალოიმ მთელი სოფელი, ეგიკალის მთელი მოსახლეობა, დაღუპვისაგან იხსნა.

იდრის ბაზორკინი რომანში ასახავს XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე როგორც სოციალურ პროცესებს, ისე ცარიზმის კოლონიური რეჟიმით ინგუშეთში განვითარებულ მოვლენებს. მცირე და მწირი მიწა ვერ კვებავდა მაღალმთიანი სოფლის ჭარბ მოსახლეობას, რის გამოც სოფელი, განსაკუთრებით ზამთარში, შიმშილისთვის იყო განწირული. ი. ბაზორკინი რომანში დრამატულად წარმოგვიდგენს დიდ შიმშილობას, რომელიც ერთ ზამთარს თავს დაატყდა ეგიკალის მოსახლეობას. შიმშილობას თან დაერთო შავი ჭირის ეპიდემია და მეფის მთავრობის მიერ დაწესებული კარანტინი. ამან კი გარესამყაროს მთლიანად მოსწყვიტა ისედაც მიუდგომელი მთის სოფელი. ხელისუფლება არანაირ დახმარებას არ უწყევდა გაჭირვებულ მოსახლეობას. ეგიკალის მცხოვრებლებმა თვითონ მიმართეს პრევენციის ზომებს და დიდიან-პატარიანად დაირაზმნენ ეპიდემიასთან საბრძოლველად.

რომანში ქართველი მკითხველისთვის ნაცნობი სურათი იშლება, როდესაც ავტორი სოფლის მძიმე ეპიდემიურ სიტუაციას გვიხატავს. ეგიკალელები, ისევე როგორც ხევსურეთის სოფელ ანატორის შავი ჭირით დაავადებული მცხოვრებლები, მთის უძველესი ჩვეულების თანახმად, სათითაოდ შედიოდნენ აკლდამებში და იქ ელოდებოდნენ სიკვდილს. ანალოგიურ სურათს გვიხატავს ი. ბაზორკინი ეგიკალის აკლდამებში შავი ჭირის ეპიდემიით დაღუპულებთან დაკავშირებით. მწერალი სევდიანად შენიშნავს, რომ „გარდაცვლილებს აღარავინ აწუხებდათ. რა დროსაც მათ აკლდამაში სიკვდილი ეწვიათ, იმავე მდგომარეობაში იყინებოდნენ. ერთ-ერთ აკლდამაში გარდაცვლილი დედა შვილის აკვანზე დახრილა, დაღუპული შვილი კი დედის გაციებულ მკერდქვეშ გაყინულა“ (Базоркин, 1971: 281). ი. ბაზორკინი უაღრესად შთამბეჭდავად გვიხატავს ეპიდემიის პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილ სოფელს. მწერალი თითქოს ესწრება, თვალყურს ადევნებს ხალხის უბედურებას და თავის განცდებს მკითხველს უზიარებს.

ი. ბაზორკინის რომანი „საუკუნეთა ბურუსიდან“ განსაკუთრებით მდიდარია გუნდური, მასობრივი სცენების სიმრავლით. რომანის ერთ-ერთი ეპიზოდი მოგვითხრობს ქალიშვილთა დღესასწაულის შესახებ, რომელიც მთლიანად ინგუშურ ხალხურ ტრადიციას ეფუძნება. მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ინგუშური ხალხური პოეზიის ნიმუშებს ქალთა შესრულებით, ასევე, ქალის სულიერი და ზნეობრივი სრულყოფილების კრიტერიუმებს ინგუშურ საზოგადოებაში. ქალთა დღესასწაულის პარალელურად რომანში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვაჟთა ტურნირს, რომელიც, სავარაუდოდ, მთის ტრადიციულ საზოგადოებებში მოზარდების ინიციაციის არქაული წესის გამოძახილი უნდა ყოფილიყო, რომელიც ვაჟების ასაკობრივი ცვლილების ზღვარზე იმართებოდა. ამ ერთგვარი გამოცდა-ინიციაციისა და მამაკაცობაში წრთობის გავლის შემდეგ მოზარდები გადადიოდნენ ზრდასრულ ასაკში, რის შემდეგაც ისინი ითვლებოდნენ საზოგადოების სრულყოფილებიან წევრებად: შეეძლოთ დაქორწინება, თემის ცხოვრებასა და ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და სხვ.

ი. ბაზორკინი რომანში წარმოგვიდგენს მრავალმხრივ საინტერესო საკულტო ტექსტს, სალოცავ-სავერდებელს, რომელსაც ყონახალგი, ინგუში თეთრწვერა წეისაგი, იგივე ხევისბერი, შებინდებისას აღვლენს ეგიკალის სასოფლო სალოცავში. წეისაგი მფარველ წინდანებსა და ზეციურ არსებებს სათითაოდ განადიდებს და შესთხოვს მუჰაჯირთა მფარველობას, რომლებიც სამუდამოდ ემშვიდობებიან თავიანთ მიწა-წყალს (Базоркин, 1971: 40-41). ღამის ბინდუნდში მთვარით განათებული საკულტო ტაძარი - ერდა, ხევისბერი ყონახალგი, ღია ცის ქვეშ სანთლებით ხელში ქალებისა და ბავშვების ლოცვა, რომანში ქმნის უაღრესად ემოციურ, შთამბეჭდავ და მისტიკურ სურათს. ეგიკალის სასოფლო სალოცავთან წეისაგის მიერ აღვლენილი საკულტო ლოცვა თავისი სტრუქტურით, ზეციურ არსებათა ხსენების წესითა და ფორმით, ქართველი ხევისბრების მიერ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატებში წარმოთქმული სალოცავ-სავერდებლების მსგავსია (სადიდებლები, 1998: 62). ისევე როგორც ინგუში წეისაგი ყონახალგი, ქართველი ხევისბრებიც საკულტო ტექსტებში თავ-თავისი ეპითეტებითა და ღვთაებრივი ნიშნებით განადიდებდნენ ზეციურ არსებებს, ბოლოს კი ძღვნითა და საკლავით მოსულ მლოცველს შეავედრებდნენ მფარველ წმინდანს.

რომანში მწერალი აღწერს ეგზორციზმის რიტუალს, რომელს ხალხურ ნაირსახეობებს კარგად იცნობდნენ კავკასიის მაღალმთიანეთში მცხოვრები სხვა საზოგადოებებიც და მათ შორის ქართველი მთიელებიც. ეგზორციზმის რიტუალს რომანში დოქის უტარებენ, რომელმაც თავისი მეუღლის - ღარაქის - გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს ვერ გაუძლო და ჭკუიდან შეიშალა. რომანიდან ვიგებთ, რომ ავადმყოფი ქალი ქმრის სახლიდან მშობლებმა წაიყვანეს და ისინი უვლიდნენ. როგორც ჩანს, პრევენციის მიზნით, ჭკუიდან შეშლილ ავადმყოფებს ჯაჭვებით აბამდნენ. სწორედ ამ სიტუაციაში ნახა იგი კალოიმ, როცა ვაჟი იქ თავისი უმცროსი ბიძაშვილის, ორცისა და ბიცოლას სანახავად მივიდა.

ხალხური რელიგიური ტრადიციის მიხედვით, ჭკუიდან შეშლილი ადამიანი ბოროტი სულებისგან შეპყრობილად მიაჩნდათ და ამიტომაც ოჯახი და საზოგადოება მისი სხეულიდან ეშმაკის განდევნას ცდილობდა. მაგალითად, ხევსურეთში წესად ჰქონდათ ჯვარში საკლავითა და ხელსახოცით ფსიქიკურად დაავადებული ქალის მიყვანა, რომელსაც ხუცესი ავსულის განდევნის წესს ანუ „დაკოჭვის“ რიტუალს უტარებდა. მაცილ-ემშაკებისგან „დახელთილ“ ქალს, როგორც წესი, ახალ სამოსელში გამოაწყობდნენ და ჯვრის სიახლოვეს იმ ადგილამდე მიიყვანდნენ, სადამდეც ქალს სალოცავი მისვლის ნებას აძლევდა. კულტმსახური ქალს თავზე ხელსახოცს ადებდა, მედროშე დროშას ზარების წკარუნით ისე იჭერდა, რომ ქალის თავზე ყოფილიყო გადახრილი (ოჩიაური, 1988: 153). ამავდროულად ხუცესი აღვლენდა სალოცავ-სავერდებელს, რათა მფარველ წმინდანს განედევნა მაცილ-ემშაკები და ქალი გამოეჯანმრთელებინა: „გმირო კოპალავ, ლალო, ლახტიანო, დახკარ ლახტი, იხმარე შენი ძალი, უშველე ამ ქალს შემოხვეწილსა, მოაშორე მაცილი და ეშმაკი“ (ანთელავა, 2017: 207). მედროშე ქალის თავზე დროშას სამჯერ შემოატარებდა, დროშის ბოლოს - „კოჭს“ - თავზე „დახკრავდა“ და ავადმყოფი „დაკოჭვილად“ ითვლებოდა. ხევსურეთში მაცილ-ემშაკების განდევნისა და ფსიქიკურად დაავადებული ქალის გამოჯანმრთელების ძალას უფრო მეტად არხოტში მინდორის ჯვარსა და ლიქოკში კარატის ჯვარს მიაწერდნენ.

რომანში „საუკუნეთა ბურუსიდან“ ეგზორციზმის რიტუალს, სხვადასხვა სოფლიდან მოწვეულ მიურიდებთან ერთად, ჰასან-მოლა უძღვებოდა. ჰასან-ჰაჯი რიტუალში მაგიურ ნივთებსაც იყენებდა. მან საკულტო თასის ძირზე არაბულად წააწერა, შემდეგ ავადმყოფის წინ დიდი ჭურჭლით ცეცხლმოდებული ნახშირი დადგმევინა, რომელსაც თასიდან წყალს ასხამდა. ავადმყოფი კვამლსა და ორთქლში გაეხვია. ოთახში ისმოდა რიტმული გუნდური შეძახილები: „ლაი-ლაჰა, ილ-ალაჰა“. ავადმყოფი ქალი, საბრალო დოქი, საშინელი ხმით კიოდა, რომელიც ეზოში შეკრებილ მეზობლებს

აფრთხობდა. შეშინებული მეზობლები სასწრაფოდ ეზოდან გაიკრიფნენ და ბავშვებიც კომპეხში გამოკეტეს. დოქის „განკურნების“ რიტუალი სამი დღე და სამი ღამე გრძელდებოდა და ის უბედური ქალის დაღუპვით დასრულდა.

ი. ბაზორკინმა რომანში გვერდი ვერ აუარა ინგუშებისა და ქართველი მთიელების ურთიერთობის თემას. ამ თვალსაზრისითაც ქართველი მკითხველისთვის „საუკუნეთა ბურუსიდან“ უაღრესად საინტერესო ნაწარმოებია. საქართველო, როგორც ღალღას ძირძველი და საიმედო მეზობელი, რომანში არაერთხელ ხსენდება. ერთ-ერთ ეპიზოდში უამინდობის აღწერისას მწერალი მიუთითებს: „დღის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ შემდეგ ქარი ამოვარდა და ღრუბლები ხევსურეთის მთებში შერეკა“ (Базоркин, 1971: 411). ინგუშებისა და ქართველი მთიელების თემას ი. ბაზორკინი სავსებით რეალისტურად წარმოგვიდგენს.

როგორც წესი, მეზობელ ხალხებს ერთმანეთთან ჰქონდათ მეზობლობაც, მეგობრობაც და ზოგჯერ კონფლიქტიც. ღილღოს და შესაბამისად აულ ეგიკალას ასის ხეობის ზემო წელი ეკავა, მდინარე ასის სათავეებში კი მდებარეობდა ხევსურეთის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი - არხოტი, რამდენიმე სოფლით: ამლა, ახიელი, კალთანა, ჭიმლა და კვირიწმინდა. არხოტივებსა და ღილღველებს შორის იყო ცალკეული უსიამოვნო შემთხვევებიც, რომლებიც საბოლოოდ ზავით, შერიგებით, დამშობილებითა და საერთო ტრაპეზით სრულდებოდა.

ღილღველებსა და არხოტივებს შორის წარმოქმნილ მსგავს კონფლიქტურ სიტუაციებს უფრო დეტალურად აღწერს ალ. ოჩიაური თავის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ნაშრომში „სისხლ-მესისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში“ (ოჩიაური, 2019). აღსანიშნავია, რომ როგორც ი. ბაზორკინი, ასევე ალ. ოჩიაური ინგუშებსა და ხევსურებს შორის ხალხური დიპლომატიის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებენ, რომელიც მეტად ეფექტური საშუალება იყო კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად.

როგორც რომანი მოგვითხრობს, კონფლიქტს უეჭველად მოსდევდა მოლაპარაკება ხევსურ და ღილღველ უხუცესებს შორის. ი. ბაზორკინი წერს: „როცა ემოციები დაცხრა, ერთი თვის შემდეგ კონფლიქტის მოსაგვარებლად ღილღველი და ხევსური უხუცესები ერთმანეთს შეხვდნენ... გამოარკვიეს, ვის რამდენი ემართა და რამდენი უნდა გადაეხადა. დაკლეს ცხვრები, გაშალეს სუფრა, შესვეს მთის ლუდი, ერთმანეთს მხურვალედ შეჭვიცეს მეგობრობა და დაიშალნენ მომდევნო კონფლიქტამდე“ (Базоркин, 1971: 387).

რომანის მიხედვით, ხევსურებს ღილღოში უშიშარი და მამაცი ხალხის სახელი ჰქონდათ გავარდნილი. ზოგჯერ კაზაკებსა და რუს ჯარისკაცებზე ღილღოში მომხდარ თავდასხმებს ადგილობრივი მმართველები ხევსურებს მიაწერდნენ. ღილღოს მამასახლისი რუს ოფიცერს ხევსურების შესახებ უმტკიცებდა, რომ კაზაკთა ოცეულს ხევსურებმა გაუხსნეს ცეცხლი ღილღოში და არა ინგუშებმა, რადგან მათ მტრობა ჰქონდათ ღილღველებთან და ისინი კაზაკებში აერიათ: - „ეს საშიში ხალხია. ხევსურებს მტრობა აქვთ ჩვენთან. კაზაკთა ოცეულს ხევსურებმა გაუხსნეს ცეცხლი, რადგან ღილღველთა რაზმი ეგონათო“. რუს ოფიცერს კი სჯეროდა მამასახლისის ნათქვამი (Базоркин, 1971: 404). როგორც რომანი მოგვითხრობს, დილით მთელ ღილღოში, მართლაც, ხმა გავარდა: თითქოს აულ ერშთან თავზეხელაღებულმა ხევსურებმა კაზაკთა ოცეული დაცხრილეს. - რა შეუპოვრობაა, - უკვირდათ ღილღველ მოხუცებს, - ხევსურები სადამდე მოსულან, ასე ხომ ისინი მალე ნაზრანში დაიწყებენ სროლას (Базоркин, 1971: 406).

ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეული კონფლიქტური სიტუაციების გარდა, იდრიზ ბაზორკინი რომანში მოგვითხრობს ღილღველებისა და ქართველი მთიელების ურთიერთმეზობლობის მეტად ამაღელვებელ ფაქტებზე, რომლებსაც რეალური ადამიანური ურთიერთობები და ნამდვილი ამბები უდევს საფუძვლად. რომანში ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს წარმოადგენს მუჰაჯირთა მრავალათასიანი კოლონიის გამგზავრება

ვლადიკავკაზიდან ოსმალეთში. მეზობელმა ქართველმა მთიელებმა აქაც ჩვეული გულისხმიერება, გულისტკივილი და რაინდული თანაგრძნობა გამოხატეს სამშობლოდან აყრილი მეზობლების მიმართ. რომანის მიხედვით, როცა მუჰაჯირთა მრავალათასიანი კოლონა ღამით სოფელ სტეფანწმინდასთან შეჩერდა, მოხევეები დიდი უბედურების საუწყებლად გერგეტის სამებაში განუწყვეტლივ ზარებს რეკავდნენ; ხევისბრები მუჰაჯირთა სახელზე ტაძარებში ლოცვებსა და საგალობლებს ადავლენდნენ; ყოველ ურემთან თითო მოხევე იდგა, რომლებიც გულისტკივილით აცილებდნენ თავიანთ მეზობლებს „ალაჰის ქვეყანაში“.

ი. ბაზორკინის რომანში ქართველი პერსონაჟები, მართალია, ეპიზოდურად მონაწილეობენ, მაგრამ ავტორი მათ ძირითადად დადებით კონტექსტში მოიხსენიებს. მუჰაჯირობიდან გამოქცეული და ოსმალთა ასკრებს თავდაღწეული ინგუში ხამბორი ქართველმა ტყის მჭრელებმა გადაარჩინეს. ისინი სამი დღე-ღამის განმავლობაში მალავდნენ ხამბორს და თავისიანებსაც კი არ უმხელდნენ საიდუმლოს, რადგან ხამბორს, როგორც მუჯარობიდან გამოქცეულს, რუსული მმართველობისგან ციმბირში გადასახლება და კატორღა არ ასცდებოდა. ქართველმა მეტყველებმა მას საკვები და ტანსაცმელი მისცეს, გზა მიასწავლეს და ღიღოსკენ მშვიდობიანად გაისტუმრეს.

რომანში „საუკუნეთა ბურუსიდან“ აისახა XX საუკუნის დასაწყისის ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ-ერთი გახმაურებული ამბავი ჩეჩენ აბრავ ზელიმხანთან დაკავშირებით, მისი დაპირისპირება თერგის ოლქის უფროს თავად გიორგი ანდრონიკოვთან. გიორგი ანდრონიკაშვილი იყო ნატო ვაჩნაძის მამა. მწერალი მას, როგორც ცარიზმის სამსახურში ჩამდგარ მოხელეს, უარყოფითი თვისებებით ხატავს და მის ქართულ წარმომავლობაზე საერთოდ არ ამახვილებს ყურადღებას. ი. ბაზორკინი არც იმას აღნიშნავს, რომ თავდაპირველად გიორგი ანდრონიკაშვილი ზელიმხან ხოროჩოელთან უშუალო დაპირისპირებისგან თავს იკავებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველ თავადს საკუთარი თანამდებობა და მეფის ხელისუფლება ავალდებულებდა ჩეჩენი აბრავის შეპყრობას. ი. ბაზორკინი ისტორიულ რეალებზე დაყრდნობით რომანში დაწვრილებით აღწერს ასის ხეობაში თავად გიორგი ანდრონიკოვის დაღუპვის სცენას.

რომანის ბოლო ნაწილში მოქმედება თითქმის მთლიანად პირველი მსოფლიო ომის აღმოსავლეთის ფრონტზე ვითარდება. მკითხველს ნაწარმოების ეს საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი შეიძლება გაჭიანურებულადაც მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, მწერალი, როგორც მეფის არმიის გენერლების პირდაპირი შთამომავალი, დატალურად იცნობდა სამხედრო საქმესა და პირველი მსოფლიო ომში მონაწილე რუსეთის არმიის გენერალიტეტს. „საუკუნეთა ბურუსიდან“ ბოლო ნაწილში მოგვითხრობს კავკასიის ველური დივიზიის საქმიანობას, რომელსაც დიდი მთავრის მიხაილის შემდეგ ხელმძღვანელობდა გენერალ-ლეიტენანტი დ. ბაგრატიონი. რომანის ამ მონაკვეთში ძირითადი ამბები სწორედ მთიელთა პოლკს უკავშირდება, რადგან მასში მრავალი ინგუში მხედარი და ოფიცერი მსახურობდა, მათ შორის რომანის მთავარი გმირი კალოი ეგი და მისი ძმა ორცი. მთიელთა პოლკს მეთაურობდა ქართველი პოლკოვნიკი გიორგი მერჩულე, სრულიად რეალური პიროვნება, მეფის არმიის მამაცი ოფიცერი. ნაწარმოების მიხედვით, პოლკოვნიკ გ. მერჩულეს დამთავრებული ჰქონდა ნიკოლაევსკის სამხედრო სასწავლებელი პეტერბურგში და იტალიის უმაღლესი საავიაციო სკოლა. ი. ბაზორკინს პირველ მსოფლიო ომსა და პეტერბურგის რევოლუციურ დღეებთან დაკავშირებით რომანში ფრაგმენტულად შემოჰყავს თავადი დადიანი, რომელსაც წერილი მიჰქონდა გენერალ-ლეიტენანტი დ. ბაგრატიონთან, რათა მას მონაწილეობა არ მიეღო კორნილოვის გადატრიალებაში. თავადი დადიანი განსაკუთრებულ წუხილს გამოხატავდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ დიდებულებზე. რომანის ფინალური ნაწილიდან ჩანს, რომ ი. ბაზორკინი საკმაოდ კარგად იცნობდა ქართულ ფეოდალურ ელიტას,

საქართველოს კუთხეებს და გააზრებული ჰქონდა ის როლი, რომელიც მათ ეკავათ რუსეთის იმპერიაში.

**დასკვნა.** ი. ბაზორკინის ნახევრად ისტორიული რომანი „საუკუნეთა ბურუსიდან“ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია როგორც ქართულ-ინგუშური ურთიერთობების, ასევე ინგუშეთსა და მის ირგვლივ XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენების გასაცნობად. რომანის მხატვრულ სრულყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრადიციული ელემენტები, მითოლოგიური არქეტიპები და ფოკლორული მოტივები. მათი რეპრეზენტაცია ნაწარმოებში ქმნის უაღრესად შთამბეჭდავ და დაუფიქრებლად მხატვრულ სურათს. რომანში ასახულ ზოგიერთ ტრადიციულ მოტივსა და ფოკლორულ სიუჟეტს იცნობს ინგუშების მეზობელი ქართველი მთიელების ზეპირსიტყვიერებაც, რაც განპირობებულია მათი ხანგრძლივი და უწყვეტი ისტორიული ურთიერთმეზობლობით, ცხოვრების ერთნაირი პირობებითა და სტილით, კულტურულ ფასეულობათა მუდმივი ურთიერთგაზიარებით.

ი. ბაზორკინის რომანი, მართალია, ძირითადად ერთი კულტურის მატარებელი, ერთი ხალხის პრობლემებისა და სულიერ-ზნეობრივი ღირებულებების ჩვენებით შემოიფარგლება, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მწერლის მიერ თავისი ხალხის დაფარული შესაძლებლობების მხატვრული განზოგადება ამავდროულად ზოგადსაკაცობრიო კულტურის ერთ კერძო გამოვლინებასაც წარმოადგენს, რომელიც ეფუძნება ჰუმანიზმს, თავისუფლებისა და ადამიანების სიყვარულს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- ანთელავა, ნ. (2017). *კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- კიკნაძე, ზ. (2009). *ანდრეზები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კიკნაძე, ზ. (2016). *ქართული მითოლოგია, 2, ფარნავაზის სიზმარი*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ოჩიაური, ალ. (1988). *ქართული ხალხური კალენდარი, ხევსურეთი, არხოტის თემი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ოჩიაური, ალ. (2019). *მოსახლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში*. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
- სადიდებლები. (1998). *გვარ-ხატთა სადიდებლები*. ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ზურაბ კიკნაძემ, ხვთისო მამისიმედიშვილმა და ტრისტან მახაურმა. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.
- Базоркин, И. М. (1971). *Из Тьмы веков*. Москва: «Советская Россия».
- Дахкильгов, И. А. (2012). *Ингушский нартский эпос, Тексты и исследование*. Нальчик: ООО «Тетраграф».
- Мартазанова, Х. М. (2015). Творчество И. М. Базоркина: Векторы развития. *Мир науки, культуры, образования*. №6 (55), 2015.  
<https://cyberleninka.ru/article/n/tvorchestvo-i-m-bazorkina-vektory-razvitiya>  
(17.04.2024).
- Ужахова, Р. К. (2010). Стилистическое своеобразие романа «Из тьмы веков» Идриса Муртузовича Базоркина. *Современные гуманитарные исследования*. №2 (33).

Москва. [https://naukarus.com/stilisticheskoe-svoeobrazie-romana-iz-tmy-vekov-idrisa-murtuzovicha-bazorkina\\_\(17.04.2024\)](https://naukarus.com/stilisticheskoe-svoeobrazie-romana-iz-tmy-vekov-idrisa-murtuzovicha-bazorkina_(17.04.2024)).

## REFERENCES

- antelava, n. (2017). *k'avk'asiis khalkhta mitebi da rit'ualebi [Myths and Rituals of the Caucasian Peoples]*. Tbilisi: Publishing House „Universali“.
- k'ik'nadze, z. (2009). *andrezebi, aghmosavlet sakartvelos mtianetis religiur-mitologiuri gadmotsemebi [The Religious-Mythological Oral Traditions of the Highland of Eastern Georgia]*. Tbilisi: Ilia Chavchavadze State University Publishing.
- k'ik'nadze, z. (2016). *kartuli mitologia, 2, parnavazis sizmari [Georgian Mythology, 2, Phanavaz's Dream]*. Tbilisi: Ilia Chavchavadze State University Publishing.
- ochiauri, al. (1988). *kartuli khalkhuri k'alendari, khevsureti, arkhot'is temi [The calendar of Georgian folk fests (Arkhoti community)]*. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- ochiauri, al. (2019). *mosiskhleoba da ch'ra-ch'riloba khevsuretsi [The tradition of Avenging blood in Khevsureti]*. Tbilisi: National Parliamentary Library of Georgia.
- sadideblebi. (1998). *jvar-khat'ta sadideblebi [The Ritual Oral Texts of Northeast Georgian Highland]*. Edition of the Texts, Introduction, Glossary and Indices by Z. Kiknadze, Kh. Mamisimedishvili, T. Makhuri. Tbilisi: Publishing House „Nekeri“.
- Bazorkin, I. M. (1971). *Iz T'my vekov [Dark Ages]*. Moscow: «Sovetskaja Rossija».
- Dahkil'gov, I. A. (2012). *Ingushskij nartskij jepos, Teksty i issledovanie [The ingush Nart-Sagas: texts and researches]*. Nalchik: OOO «Tetragraf».
- Martazanova, H. M. (2015). Tvorchestvo I. M. Bazorkina: Vektory razvitija [The Work of I. M. Bazorkin: Vectors of Development]. *Mir nauki, kul'tury, obrazovanija [Mir nauki, kul'tury, obrazovanija]*. №6 (55), 2015.  
<https://cyberleninka.ru/article/n/tvorchestvo-i-m-bazorkina-vektory-razvitiya> (17.04.2024).
- Uzhahova, R. K. (2010). Stilisticheskoe svoeobrazie romana «Iz t'my vekov» Idrisa Murtuzovicha Bazorkina [The Stylistic Originality of the novel “Dark Ages” by Idris Murtuz Bazorkin]. *Sovremennye gumanitarnye issledovanija [Modern Humanitarian Research]*. №2 (33). Moscow. [https://naukarus.com/stilisticheskoe-svoeobrazie-romana-iz-tmy-vekov-idrisa-murtuzovicha-bazorkina\\_\(17.04.2024\)](https://naukarus.com/stilisticheskoe-svoeobrazie-romana-iz-tmy-vekov-idrisa-murtuzovicha-bazorkina_(17.04.2024)).